სატენდერო დოკუმენტაცია
შპს “თბილისი ენერჯი”-ს (შემდგომში - “შემსყიდველი”)
მიერ შრომის უსაფრთხოების აქსესუარების შესყიდვასთან დაკავშირებით
გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შემუშავებულია შპს „თბილისი ენერჯი”-ს გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შპს “თბილისი ენერჯი”-ში შესყიდვების დაგეგმვისა და განხორციელების წესის შესახებ დებულების” საფუძველზე.
სატენდერო დოკუმენტაცია გადაეცემა პოტენციურ მიმწოდებელს შესაბამისი სატენდერო განაცხადის მოსამზადებლად.

1. ზოგადი დებულებები
1.1. სატენდერო დოკუმენტაცია განკუთვნილია პოტენციური მიმწოდებლისათვის და მიზნად ისახავს მისთვის სატენდერო პირობების შესახებ სრული ინფორმაციის მიწოდებას.
1.2. ტენდერი ტარდება შრომის უსაფრთხოების აქსესუარების (შემდგომში - “საქონელი”) მიმწოდებლის გამოსავლენად.
1.3. პოტენციურ მიმწოდებელს სატენდერო დოკუმენტაცია გადაეცემა მოთხოვნისთანავე.

2. საქონელი
2.1. საქონლის დასახელება და რაოდენობა:

#	საქონლის დასახელება და მახასიათებლები	ცალი	ერთ. ფასი	ჯამური ღირ.
1	ამრეკლი ჟილეტი კომპანიის ლოგოთი	642		
2	უსაფრთხოების ფეხსაცმელი-ზაფხულის (ASTM 2413, EN ISO 20345 ან სხვა ექვივალენტი სტანდარტის შესაბამისი)	624		
3	უსაფრთხოების ფეხსაცმელი-ზამთრის (ASTM 2413, EN ISO 20345 ან სხვა ექვივალენტი სტანდარტის შესაბამისი)	526		
4	მაღალყელიანი უსაფრთხოების ტყავის ჩექმა (ASTM 2413, EN ISO 20345 ან სხვა ექვივალენტი სტანდარტის შესაბამისი)	97		
5	უსაფრთხოების რეზინის ჩექმა, წყალგაუმტარი (ASTM 2413, EN ISO 20345 ან სხვა ექვივალენტი სტანდარტის შესაბამისი)	103		
6	შემდუღებლის ხელთათმანი (ANSI Z49.1, OSHA 29 CFR 1910.252 ან სხვა ექვივალენტი სტანდარტის შესაბამისი)	81		
7	სამუხლე შემდუღებლისთვის (EN 14404 ან სხვა ექვივალენტი სტანდარტის შესაბამისი)	26		
8	ელ.შემდუღებლის ნიღაბი (ANSI Z49.1, OSHA 29 CFR 1910.252 ან სხვა ექვივალენტი სტანდარტის შესაბამისი)	25		
9	აირშემდუღებლის /მჭრელის სათვალე (ANSI Z49.1 ან სხვა ექვივალენტი სტანდარტის შესაბამისი)	47		

10	აირშემდუღებლის /მჭრელის გამჭვირვალე ნიღაბი (ANSI Z49.1 ან სხვა ექვივალენტი სტანდარტის შესაბამისი)	72		
11	უსაფრთხოების ჩაფხუტი კომპანიის ლოგოთი (ANSI/ISEA Z89.1-2014 ან სხვა ექვივალენტი სტანდარტის შესაბამისი)	652		
12	უსაფრთხოების კეპი კომპანიის ლოგოთი (BS EN 812:2012 ან სხვა ექვივალენტი სტანდარტის შესაბამისი)	120		
13	სამუშაო ხელთათმანი	30000		
14	უსაფრთხოების სათვალე (ANSI Z49.1 ან სხვა ექვივალენტი სტანდარტის შესაბამისი)	332		
15	სიმაღლეზე მუშაობისთვის განკუთვნილი უსაფრთხოების თოკი (EN361: 2002. ან სხვა ექვივალენტი სტანდარტის შესაბამისი)	68		
16	სიმაღლეზე მუშაობისთვის განკუთვნილი უსაფრთხოების სამუშაო ქამარი (EN361: 2002. ან სხვა ექვივალენტი სტანდარტის შესაბამისი)	68		
17	დამცავი ყურსასმენი (EN352-1 ან სხვა ექვივალენტი სტანდარტის შესაბამისი)	5		
18	კეპი კომპანიის ლოგოთი	866		
ჯამი :				

2.2. საქონლის მიწოდების ვადა: შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
2.3. საქონლის მიწოდება ხორციელდება გამყიდველის საწყობში ქ.თბილისი ნუცუბიძის 223ა;
2.4 ანგარიშსწორება ხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტიურად მოწოდებული საქონლის შესაბამისად. შესაძლებელია საავანსო ანგარიშსწორება მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 30%-ის ოდენობით, შესაბამის თანხაზე საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში.
2.5 საავანსო საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა უნდა ფარავდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას და აღემატებოდეს მას არანაკლებ 30 სამუშაო დღით.
2.6 საავანსო ანგარიშსწორების შემთხვევაში, გადახდილი საავანსო თანხა გამოიქვითება ეტაპობრივი ანგარიშსწორების თანხიდან შესაბამისი პროცენტული ოდენობით.
2.7. სავალდებულოა მწარმოებლის მიერ გაცემული საქონლის ხარისხის და შესაბამისობის სერტიფიკატების წარმოდგენა.

3. საკვალიფიკაციო მოთხოვნები
3.1. ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პოტენციური მიმწოდებელი (პრეტენდენტი) უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
ა) გააჩნდეს გამოცდილება, რეპუტაცია შესასყიდი საქონლის შესაბამის ბაზარზე, აგრეთვე, ფლობდეს ფინანსურ, მატერიალურ და შრომის რესურსებს შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად;
ბ) იყოს გადახდისუნარიანი, არ იმყოფებოდეს ლიკვიდაციის ან გადახდისუუნარობის რეჟიმში, მის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა, მისი სამეურნეო–ფინანსური საქმიანობა არ უნდა იყოს შეჩერებული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;
გ) არ უნდა გააჩნდეს ბიუჯეტის და/ან საკრედიტო დაწესებულების ვადამოსული დავალიანება;

დ) არ უნდა იყოს შეტანილი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ წარმოებულ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში (შავი სია);
ე) გააჩნდეს შესყიდვის ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭირო უფლებაუნარიანობა;
ვ) აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობითა და საზოგადოების მიერ განსაზღვრულ სხვა მოთხოვნებს.
3.2. პოტენციურმა მიმწოდებელმა (პრეტენდენტმა) შემსყიდველს უნდა წარუდგინოს, მოწმობების, ლიცენზიების, ცნობებისა და სხვა დოკუმენტების ასლები, რომლებიც ადასტურებენ მის შესაბამისობას საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.
3.3. შემსყიდველი არ განიხილავს სატენდერო განაცხადს, თუ პოტენციური მიმწოდებელი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას ან თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრული, არაზუსტი ან/და მცდარი აღმოჩნდება.
3.4. სატენდერო განაცხადებაში მითითებული მონაცემების საკვალიფიკაციო და სხვა მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით შემსყიდველი უფლებამოსილია, ტენდერის მიმდინარეობისას განახორციელოს მონაწილეების წინასწარი საკვალიფიკაციო შერჩევა. შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში, პოტენციური მიმწოდებელი შეფასებაზე არ დაიშვება.
3.5. პოტენციური მიმწოდებლის მიერ ტენდერზე წარმოდგენილი ცნობები გაცემული უნდა იყოს ტენდერის გამოცხადების შემდგომ პერიოდში.

4. სატენდერო განაცხადების წარდგენა. სატენდერო განაცხადების მოქმედების ვადა
4.1. ტენდერში მონაწილეობის მსურველმა პოტენციურმა მიმწოდებელმა, შემსყიდველს უნდა წარუდგინოს დალუქულ კონვერტში მოთავსებული სატენდერო განაცხადი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს და საქონლის ნიმუშები დანართ #1-ში მითითებული ესკიზების შესაბამისად.
4.2. კონვერტზე სავალდებულოა პოტენციური მიმწოდებლის სახელწოდებისა და მისამართის მითითება, აგრეთვე მასზე აღნიშნული უნდა იყოს: შპს "თბილისი ენერჯისათვის" შრომის უსაფრთხოების აქსესუარების შესყიდვის ტენდერი".
4.3. შემსყიდველისათვის წარდგენილი დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს პოტენციური მიმწოდებლის ბეჭდით (თუ იგი სარგებლობს ბეჭდით). ბეჭდით დამოწმებას არ საჭირეობს ადმინისტრაციული ორგანოს/ნოტარიუსის მიერ გაცემული დედანი დოკუმენტი.
4.4. სატენდერო განაცხადში ფასები მიეთითება ლარში.
4.5 განაცხადის ბოლოს მიეთითება თანდართული დოკუმენტაციის ჩამონათვალი და გვერდების რაოდენობა;
4.6. სატენდერო განაცხადი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია დგება ქართულ ენაზე, ხოლო უცხო ენაზე შედგენილ თანდართულ დოკუმენტაციას თან უნდა ახლდეს ქართულ ენაზე შედგენილი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი.
4.7. სატენდერო განაცხადი შემსყიდველს წარედგინება 2020 წლის 24 თებერვლის 18:00 საათამდე (შემდგომში - "საბოლოო ვადა"), შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №18ა, შპს "თბილისი ენერჯი"-ს კანცელარია. კანცელარიაში პოტენციური მიმწოდებლის სატენდერო განაცხადის მიღებისას აუცილებელია განაცხადის უშუალო მომწოდებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის დართვა მისაღებ დოკუმენტაციასთან ერთად (თუ განაცხადი არ იქნა წარდგენილი საფოსტო საკურიერო მომსახურების განმახორციელებელი პირის მიერ).
4.8 დალუქულ კონვერტზე წარმდგენი და დოკუმენტაციის ჩამბარებელი პირის ხელმოწერით დაფიქსირდება დოკუმენტაციის წარმოდგენის ზუსტი თარიღი და დრო.
4.8. სატენდერო კომისიის მიერ არ განიხილება პოტენციური მიმწოდებლების (პრეტენდენტების) მიერ ვადების დარღვევით წარდგენილ სატენდერო განაცხადი.

4.9. პოტენციური მიმწოდებელი (პრეტენდენტი) კისრულობს ყველა ხარჯს, რომელიც დაკავშირებულია მისი სატენდერო განაცხადის მომზადებასა და წარდგენასთან. შემსყიდველს და სატენდერო კომისიას არ ეკისრებათ ამ ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება, მიუხედავად ტენდერის ჩატარების სპეციფიკისა და შედეგებისა.

4.10. პოტენციური მიმწოდებელი (პრეტენდენტი) ვალდებულია მიუთითოს თავის სატენდერო განაცხადში მისი მოქმედების ვადა. სატენდერო განაცხადების მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს, სატენდერო განაცხადების შემცველი კონვერტების გახსნის სავარაუდო თარიღის შემდეგ, არანაკლებ 45 (ორმოცდახუთი) კალენდარულ დღეს. სატენდერო განაცხადი, რომელზეც მითითებულია უფრო ნაკლები მოქმედების ვადა, ვიდრე ეს მოთხოვნილია შემსყიდველის სატენდერო დოკუმენტაციით, განიხილება, როგორც სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შეუსაბამო.

4.11. სატენდერო განაცხადების მოქმედების ვადის ამოწურვამდე სატენდერო კომისიას შეუძლია სთხოვოს პოტენციურ მიმწოდებელს (პრეტენდენტს) დამატებით გააგრძელოს აღნიშნული ვადა კონკრეტული დროის პერიოდზე. პოტენციურ მიმწოდებელს (პრეტენდენტს) შეუძლია უარი თქვას აღნიშნული თხოვნის დაკმაყოფილებაზე და ამასთან, იგი არ კარგავს უფლებას დაიბრუნოს თავისი სატენდერო განაცხადის უზრუნველყოფის საშუალება ამ დებულებით განსაზღვრული წესით.

4.12. პოტენციურ მიმწოდებელს უფლება აქვს შეცვალოს ან გაიხმოს თავისი სატენდერო განაცხადი სატენდერო განაცხადების წარდგენისათვის დადგენილი საბოლოო ვადის გასვლამდე.

4.13. შემსყიდველი უფლებამოსილია, პოტენციური მიმწოდებლის არანაკლებ განაცხადების მიღებამდე 07 კალენდარული დღით ადრე წარდგენილი წერილობითი თხოვნის საფუძველზე ან თავისი ინიციატივით, განმარტოს/დააზუსტოს სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ინფორმაცია, რაც ფორმდება სატენდერო დოკუმენტაციის დამატების სახით და ეგზავნება ყველა პოტენციურ მიმწოდებელს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სატენდერო წინადადებების მიღების ვადის დასრულებამდე არა უგვიანეს 5 კალენდარული დღისა.

5. სატენდერო განაცხადის უზრუნველყოფა

5.1. სატენდერო განაცხადის უზრუნველყოფა უნდა განხორციელდეს საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის მეშვეობით, რომლისოდენობა განისაზღვრება პოტენციური მიმწოდებლის მიერ შეთავაზებული საქონლის საერთო ღირებულების 3%-ის ოდენობით. სატენდერო განაცხადის უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 10 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო განაცხადის მოქმედების ვადას.

5.2. სატენდერო განაცხადის უზრუნველყოფის საბანკო გარანტია არ უბრუნდება პოტენციურ მიმწოდებელს (პრეტენდენტს):

ა) თუ მან გაიხმო ან შეცვალა სატენდერო განაცხადი სატენდერო განაცხადების წარდგენისათვის დადგენილი საბოლოო ვადის ამოწურვის შემდეგ;

ბ) თუ სატენდერო განაცხადის გახსნის შემდეგ პოტენციურმა მიმწოდებელმა (პრეტენდენტმა) უარი განაცხადა ტენდერში მონაწილეობაზე, თავისი სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის დასრულებამდე;

გ) თუ ტენდერში გამარჯვებული პოტენციური მიმწოდებელი (პრეტენდენტი) უარს განაცხადებს შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე;

დ) თუ პოტენციური მიმწოდებელი (პრეტენდენტი) დისკვალიფიცირებულია შესყიდვის პროცედურების დროს არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო;

ე) თუ მიმწოდებელი არ შეიტანს შესყიდვების ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას იმ ფორმით, მოცულობითა და იმ პირობებით, რაც

განსაზღვრულია სატენდერო დოკუმენტაციით მას შემდეგ, რაც ხელს მოაწერს შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას;

ვ) სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

5.3. 5.2 პუნქტში მითითებული ერთ-ერთი საფუძვლის არსებობის პირობებში, შემსყიდველი უფლებამოსილია მომართოს გარანტს და მოსთხოვოს სატენდერო განაცხადის უზრუნველყოფის საბანკო გარანტით განსაზღვრული თანხის ანაზღაურება.

5.4 სატენდერო განაცხადი უბრუნდება პოტენციურ მიმწოდებელს (პრეტენდენტს):

ა) სატენდერო განაცხადის მოქმედების ვადის ამოწურვისას;

ბ) შესყიდვების პროცედურების შეწყვეტისას ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენის გარეშე;

გ) სატენდერო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის გამო სატენდერო განაცხადის მიღებაზე უარის შემთხვევაში;

დ) ტენდერში გამარჯვებულად სხვა პოტენციური მიმწოდებლის (პრეტენდენტის) გამოვლენისას;

ვ) სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6. სატენდერო განაცხადების შემცველი კონვერტის გახსნა, სატენდერო განაცხადის განხილვა და შეფასება

6.1. კონვერტები, რომლებშიც მოთავსებულია სატენდერო განაცხადები, სავარაუდოდ გაიხსნება 2020 წლის 26 თებერვალს ქ. თბილისში, ა. მიცკევიჩის ქ. №18ᵃ-ში.

6.2. სატენდერო განაცხადების შემცველი კონვერტების გახსნაზე დასწრების სურვილის შემთხვევაში პოტენციური მიმწოდებლები უნდა დაგვიკავშირდენენ ნომერზე 591021902.

6.3. სატენდერო კომისია არ განიხილავს შეფასებისთვის სატენდერო განაცხადს, თუ:

ა) სატენდერო განაცხადის წარმდგენი პოტენციური მიმწოდებელი (პრეტენდენტი) არ პასუხობს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

ბ) მოცემული სატენდერო განაცხადი არ პასუხობს სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;

გ) სატენდერო განაცხადი არ არის გაფორმებული და დამოწმებული დადგენილი წესით;

დ) პოტენციურმა მიმწოდებელმა (პრეტენდენტმა) არ შეიტანა სატენდერო განაცხადის უზრუნველყოფის საშუალება იმ ფორმით, მოცულობითა და იმ პირობებით, რომელიც გათვალისწინებულია სატენდერო დოკუმენტაციით;

6.4. სატენდერო კომისიის მიერ სატენდერო განაცხადების შეფასებისას გამოყენებულ იქნება შემდეგი კრიტერიუმები:

ა) სატენდერო განაცხადის ღირებულება;

ბ) საქონლის მიწოდების ვადები და პირობები;

გ) საქონლის ტექნიკურ-ხარისხობრივი პარამეტრები, ვიზუალი და ფუნქციონალური მახასიათებლები (წარმოდგენილი ნიმუშების მიხედვით);

დ) ანგარიშსწორების ფორმები და პირობები;

6.5. პოტენციური მიმწოდებლის მცდელობა ზეწოლა მოახდინოს სატენდერო კომისიის საქმიანობაზე, წარმოადგენს მისი დისკვალიფიკაციის საფუძველს.

6.6. სატენდერო კომისია აჯამებს ტენდერის შედეგებს სატენდერო განაცხადების შემცველი კონვერტების გახსნის დღიდან არა უგვიანეს 30 დღისა.

6.7. გადაწყვეტილება ტენდერში გამარჯვებულის შესახებ მიიღება განაცხადით შემოთავაზებული შესყიდვის ობიექტის ყველაზე დაბალი ფასისა და ამ მუხლში მითითებული სხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით. ამასთან, ფასის შემცირების მიზნით, დასაშვებია პოტენციურ მიმწოდებლებს შორის ტენდერის ჩატარება აუქციონის სახით.

6.8. სატენდერო კომისია უფლებამოსილია არ განიხილოს მიღებული განაცხადები, უარი განაცხადოს გამარჯვებულის გამოვლენაზე და გამოაცხადოს ტენდერი არშემდგარად, თუ

მიმწოდებელთა მიერ შეთავაზებული ფასი და შესყიდვის ობიექტის სხვა მახასიათებლები არ შეესაბამება შემსყიდველის მოთხოვნებს.

7. შესყიდვის ხელშეკრულების დადება

7.1. ტენდერით შერჩეულ (გამარჯვებულ) პოტენციურ მიმწოდებელთან (პრეტენდენტთან), მის მიერ წარმოდგენილი სატენდერო განცხადების გათვალისწინებით ფორმდება შესყიდვის ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. ტენდერით შერჩეული (გამარჯვებული) პოტენციური მიმწოდებელი (პრეტენდენტი) გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ შეტყობინებისა და შესყიდვის ხელშეკრულების პროექტის გადაცემიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში ხელს აწერს ხელშეკრულებას ან წერილობით ატყობინებს შემსყიდველს ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარის შესახებ.

7.3. თუ მიმწოდებელი გამოცხადებულია ტენდერის გამარჯვებულად და იგი ხელს არ აწერს შესყიდვის ხელშეკრულებას ამ მუხლის 7.2. პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დადოს შესყიდვის ხელშეკრულება ტენდერის სხვა მონაწილესთან, რომლის წინადადება, ამ სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით, წარმოადგენს ყველაზე უფრო ხელსაყრელს გამარჯვებულის წინადადების შემდეგ, რაც დასტურდება ტენდერის შედეგების ოქმით.

7.4. არ დაიშვება ცვლილებების ან/და ახალი პირობების შეტანა შესყიდვის ხელშეკრულების პროექტში ან ხელმოწერილ შესყიდვის ხელშეკრულებაში (გარდა ფასის შემცირებისა), რამაც შესაძლებელია შეცვალოს იმ წინადადების შინაარსი, რომელიც წარმოადგენს მიმწოდებლის შერჩევის საფუძველს. დასაშვებია ცვლილებების შეტანა შესყიდვის ხელშეკრულების პროექტში ან ხელმოწერილ შესყიდვის ხელშეკრულებაში ფასის შემცირების ნაწილში იმ პირობით, რომ ხარისხი, მოცულობა და სხვა პირობები, რაც წარმოადგენს მიმწოდებლის შერჩევის საფუძველს, დარჩება უცვლელი.

7.5. შესყიდვის ხელშეკრულების ხელმოწერამდე შემსყიდველი უფლებამოსილია აწარმოოს მოლაპარაკებები ტენდერში გამარჯვებულ პოტენციურ მიმწოდებელთან (პრეტენდენტთან) ხელშეკრულების ფასის შემცირების თაობაზე.

7.6. იმ შემთხვევაში, თუ შესყიდვების ხელშეკრულების განხორციელების პროცესში შესაბამის საქონელზე შემცირდა ფასები, შემსყიდველისა და მიმწოდებლის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შესყიდვების ხელშეკრულებაში შეტანილი იქნება შესაბამისი ცვლილება ფასის შემცირების თაობაზე.